



მასწავლებლის
ეროვნული
ჯილდო
მომავალი განათლებათა



ვიდეოკონკურსი „მომავალი განათლებათა“

განათლების კოალიციის ინიციატივითა და EPAM Georgia-ს სპონსორობით მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ვიდეოკონკურსი „მომავალი განათლებათა“ გამოცხადდა. კონკურსის მიზანია ახალგაზრდებს შორის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია.

კონკურსი ორ ეტაპად გაიმართება:

I ეტაპი - **შესარჩევი ტური**, ვიდეო თემაზე: “ერთი დღე მოსწავლის/სტუდენტის ცხოვრებიდან”;

II ეტაპი - **ფინალური ტური**, ვიდეო თემაზე: “მომავალი განათლებათა”.

პირველი ეტაპი (შესარჩევი ტური) - ღია კონკურსი, რომლის ფარგლებშიც 14-დან 25 წლამდე ნებისმიერი მსურველი აგზავნის 15-დან 60 წამამდე ვიდეოს, თემაზე - “ერთი დღე მოსწავლის/სტუდენტის ცხოვრებიდან”. ჩვენ ვეძებთ ამბის საინტერესოდ მთხრობელებს, რომლებსაც შეუძლიათ თანატოლ აუდიტორიას მოკლე ვიდეოს საშუალებით გაუზიარონ თავიანთი სათქმელი ახალგაზრდების ყოველდღიურობაზე, გამოწვევებზე და ინტერესებზე.

ტექნიკური აღწერა

- ვიდეოს ხანგრძლივობა - 15-60 წამამდე;
- გადაღება დასაშვებია ნებისმიერი მოწყობილობით;
- დასაშვებია ფოტოების, ეფექტების, გრაფიკული ელემენტების გამოყენება;
- შესაძლებელია სამონტაჟო პროგრამების გამოყენება;
- დასაშვებია ნებისმიერი აუდიო რესურსის (მუსიკა, ხმის ეფექტები) გამოყენება ვიდეოში.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევრები შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ორიგინალური და საინტერესოა ვიდეოს კონცეფცია, შესაბამისად მთავარი კრიტერიუმი ვიდეოს კონცეფციის უნიკალურობა და იდეის საინტერესოდ გადმოცემაა.

ვიდეოს გამოგზავნის ბოლო ვადაა 10 ივნისი.



მასწავლებლის
ეროვნული
ჯილდო
მომავალი განათლებათათვის



განათლების
კოალიცია



მეორე ეტაპი (ფინალური ტური) - შესარჩევ ტურში გამოვლინდება რამდენიმე ათეული ვიდეო, რომლებიც ფინალური ტურის მონაწილეები გახდებიან. ფინალური ტურის მონაწილეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული ვებინარები, სადაც გაეცნობიან ვიდეო ხელოვნებისთვის დამახასიათებელ როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ დეტალებს, ხოლო ვებინარების დასრულების შემდეგ მონაწილეებს მიეცემათ დრო მოამზადონ ვიდეო მეორე ეტაპისთვის, თემაზე: „მომავალი განათლებაში“. ამ ეტაპის დავალება ზოგადად უნდა ეხმიანებოდეს განათლების საკითხებს, მათ შორის დამოკიდებულებას სწავლის, სკოლის, მასწავლებლის პროფესიისა თუ 21 საუკუნის უნარების შესახებ.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 3 გამარჯვებული.

პრიზები

I ადგილი - iPhone 12

II- III ადგილი - iPad 9th

შერჩევის პროცესი

ობიექტური შერჩევის პროცესის უზრუნველსაყოფად შემოსულ ვიდეოებს განიხილავს დამოუკიდებელი პირებისგან შექმნილი ჟიური, რომელიც შედგება 5 წევრისგან. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ჟიურის წევრთა შორის კონსენსუსის მიღწევის გზით.

ვიდეო კონკურსის ვადები:

I ეტაპი - 25 მაისი - 10 ივნისი

II ეტაპი - 26 ივნისი - 6 ივლისი

რეგისტრაციისთვის მიჰყევით ბმულს:

ვიდეო უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე: efageorgia@gmail.com

პროექტის საშუალო გუნდი იტოვებს უფლებას კონკურსის ფარგლებში შექმნილი ყველა ვიდეო გამოყენებულ იქნას ბრენდის გვერდებზე სარეკლამო დანიშნულებით, ბრენდის ლოგოთი და სხვა შესაბამისი ბრენდირების ელემენტებითა და ტექსტით.